ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
TERJOLA MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:**№28. 282602319**
თარიღი:**23/01/2026**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ს 54 ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის; 85 ^{4} -ე მუხლის; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52- ე და 54 -ე მუხლების; საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვარის N 85 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზვიადი ბაზაძე---თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე - უზრუნველყოფს პროცესის საერთო ხელმძღვანელობას და ანგარიშგებას მერთან;

ბ) მირზა ქოჩიაშვილი- -თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე- სამუშაო ჯგუფის თამჯდომარის მოადგილე- უზრუნველყოფს საერთო კრებების/ კონსულტაციების ჩატარების ორგანიზებას, მატერიალურტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით;

ჯგუფის ხელმძღვანელის არყოფნისას ასრულებს ხელმძღვანელის მოვალეობას;

გ) დავით გოგბერაშვილი - -თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმდომარის პირველი მოადგილე-სამუშაო ჯგუფის წევრი - უზრუნველყოფს საკრებულოს წევრებთან ურთიერთობას, მათ ინფორმირებასა და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვას პროგრამის განხორციელების პროცესში;

დ) ჯემალ ისაკაძე -თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმდომარის მოადგილე- სამუშაო

ჯგუფის წევრი-უზრუნველყოფს საკრებულოს წევრებთან ურთიერთობას, მათ ინფორმირებასა და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვას პროგრამის განხორციელების პროცესში; ;

ე) სერგი ჯიხვაშვილი - -თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმდომარის მოადგილე-სამუშაო ჯგუფის წევრი-უზრუნველყოფს საკრებულოს წევრებთან ურთიერთობას, მათ ინფორმირებასა და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვას პროგრამის განხორციელების პროცესში; ;

ვ) გიორგი რობაქიძე --თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისა და ასისტენტების კოორდინატორი -სამუშაო ჯგუფის წევრი-უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობასა და მათ ინფორმირებას.

ზ) გოდერძი თურქაძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ/შ -სამუშაო ჯგუფის წევრი - უზრუნველყოფს საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირებას, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავებას, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირებას დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვასა და მერისათვის წინადადებების მომზადებას, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადებას;

თ) ნინო ლილუაშვილი -თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- სამუშაო ჯგუფის წევრი- უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე https://terjola.gov.ge/ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას, მოსახლეობის ინფორმირებას მუნიციპალიტეტის Facebook გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერას საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის;

ი) ავთანდილ ურიადმყოფელი --თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამუშაო ჯგუფის წევრი-უზრუნველყოფს პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების შესახებ წინადადებების მომზადებას, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვას;

კ) მარეხი ლილუაშვილი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- ჯგუფის წევრი- უზრუნველყოფს მერის სამართლებრივი აქტების მომზადებას;

ლ) ნათია სახეჩიძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის მ.შ ჯგუფის წევრი- უზრუნველყოფს დასახლების საერთო კრებების კონსულტაციების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერას;

მ) სოფიო სირბილაძე--თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და

არქიტექტურის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნ) ალექსი ცქიფურიშვილი --თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს წევრი - უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობას მათი ინფორმირებას, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვას პროგრამის განხორციელების პროცესში;

მუხლი 2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დაწყების შემდეგ სამუშაო ჯგუფი იკრიბება ყოველკვირეულად, საჭიროებისას უფრო ხშირად. სამუშაო ჯგუფის მოწვევას ახდენს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

მუხლი 3. დასახლებებში განსახორციელებელი პროექტებისათვის გამოყოფილი საორიენტაციო თანხის ოდენობის ფარგლებში მოქალაქეებს შეუძლიათ წარმოადგინონ საპროექტო წინადადებები (დანართი N1ის ფორმით) შემდეგი მიმართულებებით:

ა) სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის, ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);

ბ) სარწყავი სისტემები;

გ) სანიაღვრე არხები;

დ) ნაპირსამაგრი სამუშაოები;

ე) გზები და გზისპირა მოსაცდელები, აგრეთვე ტროტუარები და გზის შემადგენელი სხვა ინფრასტრუქტურა;

ვ) ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები;

ზ) გარე განათება;

თ) სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

ი) სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;

კ) ამბულატორიის შენობები;

ლ) სასაფლაოების შემოღობვა და კეთილმოწყობა;

მ) სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;

ნ) სკვერები, მათ შორის, საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები, შესაბამისი ინვენტარით;

ო) წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;

პ) მინიჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა;

ჟ) გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და დამისამართების შესაბამისად, შესაბამისი ნიშნების, აგრეთვე ტურისტული ადგილების მიმანიშნებელი ნიშნების განთავსება;

რ) საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

მუხლი 4. საერთო კრების სხდომის / კონსულტაციის ჩატარება და მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით დანართი N2 -ის შესაბამისად;

მუხლი 5. ბრძანება გამოქვეყნდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე, აგრეთვე ჩაბარდეს სამუშაო ჯგუფის წევრებსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს;

მუხლი 6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მანუჩარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი